ეროვნული სტადიონის შენობა-ნაგებობის 45-49
პილონების ფინ არსებული სადემონტაჟო ობიექტი

ქ. თბილისი, ა. ფერეთლის გამზ №2

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი თ. პირტახია

არქიტექრორი ბ. ლიპარტელიანი

დაამუშავა ბ. გოგოლაური



ქ. თბილისი 2025ფ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:
-ნახაზი მო-1----------“სამშენებლო გენგეგმა”;
-ნახაზი მო-2----------“სამონტაჟო სქემა”

ა) განმარტებითი ბარათი

1. სადემონტაჟო ობიექტი განლაგებულია „დინამო არენა“-ს ტერიტორიაზე, წერეთლის გამზირის გამზირი № 2ა-ში, შპს „დინამო არენა“-ს (I ნომერი: 401961579) და სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახ. როვნული სტადიონი“-ს (I ნომერი: 202054034) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.13.07.019.027, სტადიონის ნაგებობის 45-49 პილონების წინ (04/1, 24/1 და 25/1 შენობები 2023 წლის მომზადებული საკადასტრო გეგმის მიხედვით). შენობა არის ერთსართულიანი, ზონებით ღერძებში 42,76X12,03მ. მზიდი კონსტრუქციები: --სვეტები – ნაწილი ლითონის კონსტრუქციების, ნაწილი მონოლითური რკ/ბეტონის;
--დახურვის კონსტრუქციები – ლითონის კონსტრუქციებისაგან;
--კედლები – ბეტონის წვრილი ბლოკებით;
--ტიხრები – ბეტონის წვრილი ბლოკებით;
--სახურავი – მცირე ქანობიანი, ლითონის ბურვილით;
--კიბეები - მონოლითური ბეტონის.

შენობის მაქსიმალური სიმაღლე: ± 0.00 ნიშნულიდან 3.77მ, სტადიონის შიდა ეზოს ნიშნულიდან 5.0მ.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--განაშენიანების ფართი----------471.00მ^2;
--სადემონტაჟო ფართი----------471.00მ^2;
--საერთო ფართი----------409.40მ^2;
--სამშენებლო მოცულობა----------2545.00მ^3

2 ვინაიდან დემონტაჟის სამუშაოების ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85, ხანგრძლივობა პირობითად მიღებულია **5.0 თვე**, სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:
--უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;
--გარე და შიდა ქსელების გამორთვა;
--ნაგვის და ნივთების გატანა ტერიტორიიდან და შიდა სივრციდან;
--სადენების, ანტენების და აბრების მოხსნა;
--დროებითი “ნაგებობების” დაყენება თავისუფალ უსაფრთხო ტერიტორიაზე ჯგუფურად /იხ. ნახაზი მო-1/;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით ქალაქის ქსელებიდან;
--აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაობის შესახებ.

3 სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით.

უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება!

აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება <u>**ორი-სამი კონსტრუქციის ერთად**</u>!

სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

კონსტრუქციის დროებითი გამაგრება /საჭიროების შემთხვევაში/, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა: სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების <u>**შეჩერება**</u> და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის <u>**გამაგრება.**</u> ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი. კონსტრუქციების და გადახურვის დაშლა მოხდეს გრძელისრიანი ექსკავატორით "მაკრატლის" დანადგარით.

სახურავის და სახურავის კონსტრუქციების მოხსნის პირობები და თანმიმდევრობა:

---მოთუთიებული ფურცლების აყრა;
---ხის და ლითონის კონსტრუქციების კვანძების გახსნა და დემონტაჟი;
---სამუშაო ადგილების პერიოდული დასველება

ედლის წყობის დაშლის პირობები და თანმიმდევრობა:

---პირველ რიგში ხდება ზედა რიგის დაშლა;
---ინსტრუმენტის გამოყენება /ძალაყინის/ ხდება ჰორიზონტალური ნაკერების მიმართულებით;
---შიდა ხარაჩოების დაყენება /საჭიროების შემთხვევაში/;
---სამუშაო ადგილების პერიოდული დასველება

შენიშვნა: შიდა ხარაჩოები უნდა იყოს ქარხნული ინვენტარული ტიპის. სიმაღლე---900მმ-1800მმ, სიგრძე—5500მმ, სიგანე – 2400მმ, მასა 234კგ.

მონოლითური რკინაბეტონის უბნების დემონტაჟი:

--გამოყენებული იქნას გრძელისრიანი ექსკავატორი "მაკრატლით";
--სამშენებლო ნაგვის ჩაყრა ავტოთვითმცველში მოხდეს პირდაპირჩამჩიანი ექსკავატორით.

მუშა-პერსონალის მუშაობის უსაფრთხოების პირობები:

--მოეწყოს სამუშაო მოედანზე გამაფრთხილებელი და აკრძალავი ნიშნები

4. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა გათვალისწინებით:
-- 2007წ 28 მარტის №62 დადგენილება ---------**–"მშენებლობის უსაფრთხოების წესები";**
-- 2017წ 27 ოქტომბრის №477 დადგენილება—---**"სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები";**
-- 2014წ 27 მაისის ტექნიკური რეგლამენტი--------**"მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ"**
-- საქართველოს ორგანული კანონი ----------**"შრომის უსაფრთხოების შესახებ"**

მანქანა-მექანიზმების უწყისი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ერთ გან.	რ-ბა
1	სამშენებლო ლითონის კიბე ბაქნით	ც	2
2	გრძელისრიანი ექსკავატორი	ც	1
3	პირდაპირჩამჩიანი ექსკავატორი	ც	1
4	ნიჩაბი	ც	4
5	ელექტროსახერხი	ც	1
6	სპეცტრანსპორტი	ც	2
7	შემდუღებელი აპარატი	ც	2

შენიშვნა: სანგრევი ჩაქუჩების, ელექტროხელსაწყოების და საშემდუღებლო აპარატის გამოყენება განხორციელდეს შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით!

თვითმცვლელების ტვირთამწეობა


N	დახასიათება	ГАЗ-335	ЗИЛ-ММЗ-4502	МАЗ-5549	КАМАЗ-5510	КрАЗ-256Б1
1	ტვირთამწეობა, ტნ	3.50	5.80	8.00	12.00	10.00
2	მოცულობა, $მ^3$	2.50	3.90	5.10	6.00	7.20

შენიშვნა: თვითმცვლელის მარკა შერჩეული იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად დატვირთული სამშენებლო ნაგვის მიხედვით.

ბ) კალენდარული გეგმა T=5.0 თვე

N	სამუშაოს დასახელება	დღე	1 თვე						2 თვე						3 თვე					
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხ. განმარტებითი ბარათი/	5																		
	ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები																			
	ძირითადი შენობა																			
1	სახურავის, სახურავის კონსტრუქციების, კარ-ფანჯრების და ვიტრაჟების ამოღება, იატაკის აყრა და ტიხრების დემონტაჟი.	30																		
2	კედლების და გადახურვის დემონტაჟი	30																		
3	ქვედა ნაწილის მონოლითური კედლების დაშლა	30																		
4	გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის დანგრევა-ამოღება.	25																		
5	კაპიტალური ღობის აღდგენა	30																		
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		

N	სამუშაოს დასახელება	დღე	4 თვე						5 თვე											
			5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30						
	მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები																			
1	მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება /იხ. განმარტებითი ბარათი/	5																		
	ძირითადი პერიოდის სადემონტაჟო სამუშაოები																			
	ძირითადი შენობა																			
1	სახურავის, სახურავის კონსტრუქციების, კარ-ფანჯრების და ვიტრაჟების ამოღება, იატაკის აყრა და ტიხრების დემონტაჟი.	30																		
2	კედლების და გადახურვის დემონტაჟი	30																		
3	ქვედა ნაწილის მონოლითური კედლების დაშლა	30																		
4	გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის დანგრევა-ამოღება.	25																		
5	კაპიტალური ღობის აღდგენა	30																		
	საერთო სამუშაოები																			
1	სამშენებლო ნაგვის გატანა	-																		
2	სხვადასხვა სამუშაოები	-																		



სამშენებლო მოედანზე გათვალისწინდეს ორი ექსკავატორი: ბრძელისრიანი "პაკრატლით" /სადემონტაჟო სამუშაოები/ და პირდაპირი ჩამჩით /ნაწილების დატვირთვა/

სამუშაოების დროს გათვალისწინდეს საჰაერო ძაბვის ადგილმდებარეობა და მიღებული იქნას უსაფრთხოების ზომები

სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდეს კაპიტალური ღობის აღდგენა


ექსპლიკაცია

1	სადემონტაჟო ნაგებობა
2	ბრძელისრიანი ექსკავატორი
3	დროებითი დახურული საწყობი
4	დროებითი კვების "ოთახი"
5	სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
6	დროებითი ღობე
7	დროებითი ჭიშკარი
8	დროებითი საფარიანი ღობე
9	დემონტირებული ნაწილების ადგილი

პირობითი აღნიშვნები

- -სადემონტაჟო ნაგებობა
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი ღობე
- -დროებითი საფარიანი ღობე

ობიექტი	ქ. თბილისი ა. წერეთლის გამზ N2		ეროვნული სტადიონის შენობა-ნაგებობის 45-49 პილონების წინ არსებული სადემონტაჟო ობიექტი		
დირექტორი	თ. პირტახია		მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი		
არქიტექტორი	გ. ლიპარტელიანი		სამშენებლო გენგეგმა		
დაამუშავა	გ. გოგოლაური		ფასადი 1/100	ფურცელი მო-1	თარიღი 04.02.2025



შენიშვნა: მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე
სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად

მისამართი	ქ. თბილისი ა. წერეთლის გამზ №2		ეროვნული სტადიონის შენობა-ნაგებობის 45-49 პილონების წინ არსებული სადემონტაჟო ობიექტი		
დირექტორი	თ. პირტახია		მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი		
არქიტექტორი	ბ. ლიპარტელიანი		სამონტაჟო სქემა		
დაამუშავა	ბ. ბოტორლაური		მასშტაბი 1:150	შეკვეთა მო-2	თარიღი 04.02.2025